

ერთი მხრივ,

პირადი № _____, რომელიც მოქმედებს მიერ შედგენილი და ხანოტარო წესით დამოწმებული, გენერალური დირექტორის მინდობილობის საფუძველზე (სანოტარო აქტის რეესტრში რეგისტრაციის № _____) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი _____ (შემდგომში „მიწის მასალოტრე“) (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის № _____, პირადი № _____, მცხოვრები: _____),

შემდგომში ერთობლივად „ოიხისეიფია ოვოროც „მხარეები“, „გაზსადენის სენაკი-ფოთის მონაკვეთის პროექტის“ განხორციელების უზრუნველსაყოფად, „მიწის მესაკუთრის“ კერძო საკუთრებაში არსებულ „მიწის ნაკვეთზე“ მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის, გატარების, ექსპლუატაციისა და სარგებლობის უფლების მოძოვების მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „გაზსადენის სენაკი-ფოთის მონაკვეთის პროექტის“ განხორციელების უზრუნველსაყოფად „მიწის მესაკუთრის“ კერძო საკუთრებაში არსებული „მიწის ნაკვეთის“ „კორპორაციის“ სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთვა.

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. „ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ სიტყვებს და ფრაზებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 2.1.1. **სამშენებლო პერიოდი** - „მილსადენისა“ და „მილსადენი საშუალებების“ მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდი, „მშენებელი კონტრაქტორის“ მიერ სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მილსადენის ექსპლუატაციაში მიღებამდე ყველაწარმოებისა და გამოკვლევების და ხარვეზების გამოსწორების პერიოდების ჩათვლით.
 - 2.1.2. **ექსპლუატაციის პერიოდი** - „მილსადენისა“ და „მილსადენი საშუალებების“ ექსპლუატაციისა ან/და ფიზიკური არსებობის მთლიანი პერიოდი, „სამშენებლო პერიოდის“ დასრულებიდან „მილსადენისა“ და „მილსადენი საშუალებების“ სრული დემონტაჟის დასრულებამდე.
 - 2.1.3. **მილსადენის საგანგებო ოპერაციები** - მოქმედებები, რომელთა დაუყოვნებლივი განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ან აღდგეს „მილსადენის“ მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა (მათ შორის ავარიის დიკუდაციისა და პრევენციისაკენ მიმართული მოქმედებები).
 - 2.1.4. **მილსადენის ჩვეულებრივი ოპერაციები** - „კორპორაციის“ ან მისი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა „მილსადენი საშუალებებით“ სარგებლობისა და გამოყენების, „მილსადენისა“ და „მილსადენი საშუალებების“ ტექნიკური მომსახურებისა და ყურტიონირებისათვის.
 - 2.1.5. **მილსადენის სარემონტო სამუშაოები** - „კორპორაციის“ მიერ ან მისი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა იმისათვის, რომ შენარჩუნდეს „მილსადენის“ მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს „მილსადენის“ შეუფერხებელი ექსპლუატაცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა.
 - 2.1.6. **მილსადენი** - გაზსადენის სენაკი-ფოთის მონაკვეთი.
 - 2.1.7. **მილსადენი საშუალებები** - ყველა ნაგებობა, მოწყობილობა და სხვა საშუალება, რომლებიც ერთად შეადგენენ „მილსადენის“ იმ ნაწილს, რომელიც „მიწის ნაკვეთზე“ ან მის ქვეშ არის განთავსებული და, რომლებიც დაკავშირებულია „მილსადენის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან.
 - 2.1.8. **მიწის ნაკვეთი** - „მიწის მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომლის მდებარეობა, საზღვრები, ფართობი და სამართლებრივი სტატუსი ოდენტიფიცირებულია ამ ხელშეკრულებაზე თანდართული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზით (დანართი №1) და „საჯარო რეესტრში“ არსებული ინფორმაციით (სააღრიცხვო ბარათი).
 - 2.1.9. **მილსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანი** - „მიწის ნაკვეთის“ ნაწილი, რომელიც უწყვეტი შავი ხაზებით არის შემოფარგლული, როგორც ეს ნაჩვენებია თანდართულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე (დანართი №1).
 - 2.1.10. **სერვიტუტის მიწა, ანუ მილსადენის დაცვის ზონა** - „მიწის ნაკვეთის“ ნაწილი, რომელიც მოყოლილია „მილსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში“, და შავი წერტილოვანი მონიშვნით არის ასახული თანდართულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე (დანართი №1).
 - 2.1.11. **შეზღუდვები** - წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლში განსაზღვრული შეზღუდვები.
 - 2.1.12. **ნაგებობა** - „მიწის ნაკვეთის“ მესაკუთრის მფლობელობაში არსებული, „სერვიტუტის მიწაზე“ მდებარე მიწასთან უძრავად დაკავშირებული საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა ნაგებობა.
 - 2.1.13. **მშენებელი კონტრაქტორი** - „კორპორაციის“ მიერ დაქირავებული კვალიფიციური სამშენებლო კომპანია, რომელიც „კორპორაციის“ სუდამხედველობით შეასრულებს „მიწის ნაკვეთზე“ ყველა სამშენებლო სამუშაოს „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში.

საქართველო
თბილისი
საქართველო

5.3.3. "სერვიტუტის მიწის" თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენის შემდეგ უნდა გაფორმდეს მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ „მიწის მესაკუთრემ“, „კორპორაციამ“ და „მშენებელმა კონტრაქტორმა“.

5.3.4. შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვალებში აცნობოს „მიწის მესაკუთრეს“ „მილსადენის სარემონტო სამუშაოების“ დაწყების შესახებ;

5.3.5. „მილსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში“ „მილსადენის საგანგებო ოპერაციების“ დაწყებამდე ან დაწყების შემდეგ შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვალებში შეატყობინოს „მიწის მესაკუთრეს“ აღნიშნულის შესახებ;

6. შეზღუდვები

6.1. „მიწის მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, „მილსადენის დაცვის ზონაში“, დაიცვას ამ მუხლით გათვალისწინებული „შეზღუდვები“ „შეზღუდვები“ არ გრძელდება „კორპორაციაზე“ და/ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილ სხვა პირებზე.

6.2. „მიწის მესაკუთრემ“ უნდა დაიცვას შემდეგი „შეზღუდვები“:

6.2.1. „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში, აკრძალულია შესვლა და რაიმე საქმიანობის განხორციელება „სერვიტუტის მიწის“ ტერიტორიაზე.

6.2.2. „სამშენებლო პერიოდისა“ და „ექსპლუატაციის პერიოდის“ განმავლობაში, „მილსადენის“ უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის „მიწის მესაკუთრე“ არ განახორციელებს ან, იმდენად, რამდენადაც „მილსადენის დაცვის ზონაში“ მოყოლილი მიწა, ან მისი რაიმე ნაწილი იქნება მისი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის ფლობის ან კონტროლის ქვეშ, არ დაუშვებს, რომ განხორციელდეს შემდეგი საქმიანობები „მილსადენის დაცვის ზონაში“, „კორპორაციაზე“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე:

- (i) შენობებისა და ნაგებობების აღმართვა;
- (ii) ნებისმიერი სახის ხეებისა და ბუჩქების დარგვა;
- (iii) საკვების, ფურაჟის, სასუქის, ნაკელისა და მასალების შენახვა და დასაწყობება, თივისა და ჩალის ზეინების დადგმა;
- (iv) ცხენსაბმელების განლაგება, საქონლის საბმელი ბოძების დაყენება და საქონლის გაჩერება, თევზსარეწი უბნების გამოყოფა, თევზის, აგრეთვე წყლის ცხოველისა და მცენარეების მოპოვება, წყალსასმელების მოპოვება, ყინულის დამზადება და მტვრევა;
- (v) გასასვლელების, ან გადასასვლელების აშენება, მსუბუქი და სატვირთო მანქანებისათვის, ტრაქტორებისათვის და სამეურნეო მანქანა-დანადგარებისათვის სადგომების მოწყობა;
- (vi) ბაღების და ბოსტნების განლაგება;
- (vii) ნებისმიერი სახის ნაგავსაყრელი ორმოების მოწყობა, მიწაზე მუავა ან ტუტე ხსნარების დაღვრა;
- (viii) ნიშნულების, საპაერო ნიშნულების, საცდელი პუნქტების, ან „მილსადენთან“ დაკავშირებული სხვა მოწყობილობის გადაადგილება და/ან მისი დაზიანების მცდელობა, ყველა სახის სამთო, სამშენებლო, სამონტაჟო და საამფეთქებლო სამუშაოების წარმოება, გრუნტის მოშანდაკება, ჭაბურღილების, შურფების მოწყობასთან და გრუნტის სინჯების (გარდა ნიმუშებისა) აღებასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-გადაზღვევის, საძებნი, გეოდეზიური და სხვა საძიებო სამუშაოების წარმოება;
- (ix) „მილსადენისა“ და სინსპექციო ჭაბურღილების, კათოდური და სადრენაჟო დაცვის და „მილსადენის“ სხვა ნაგებობათა ლიუკების, კარიბჭეების, კარების გაღება, სარქველების ამუშავება ან ამუშავების მცდელობა, საკომუნიკაციო საშუალებების, ელექტროენერჯის, ტელემუქანიკის ჩართვა ან გამორთვა;
- (x) ხანძარსაწინააღმდეგო ნაგებობების დანგრევა ან შეცვლა, მათი განადგურება და მათზე გადასასვლელების მოწყობა;
- (xi) გარემოსდაცვითი ნაგებობების დანგრევა ან შეცვლა, მათი განადგურება და მათზე გადასასვლელების მოწყობა;
- (xii) წყლის სადრენაჟო საშუალებების, მიწის და სხვა კონსტრუქციების გაუქმება და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაეთობის ან ნაეთობპროდუქტების ავარიული დაღვრისაგან დამცავი ნაგებობების გაუქმება;
- (xiii) ხანძრის გაჩაღება, ან ხანძრის წარმომშობი ნებისმიერი წყაროს შექმნა;
- (xiv) მიწის მყლიორაციული სამუშაოების წარმოება, სარწყავი, წყლის მიწოდების და დასაშრობი სისტემების მოწყობა;
- (xv) ნებისმიერი ქმედება (საქმიანობა), რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას „მილსადენის“ უსაფრთხოებას და/ან ექსპლუატაციას, ან ხელი შეუშალოს „კორპორაციას“ და/ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილ სხვა პირს „მილსადენის სარემონტო სამუშაოების“, „მილსადენის ჩვეულებრივი ოპერაციების“ და „მილსადენის საგანგებო ოპერაციების“ განხორციელებაში.

6.3. „მიწის მესაკუთრეს“ უფლება აქვს ან შეუძლია ნება დართოს მესამე პირებს, „მილსადენის დაცვის ზონაში“ ნიადაგის გათხრაზე ან მოხენაზე არაუმეტეს 30 სმ სიღრმეზე, თუმცა, თუ „მიწის მესაკუთრე“ მიიღებს „კორპორაციის“ წერილობით შეტყობინებას, რომლის თანახმადაც, „კორპორაციის“ მიერ ჩატარებული შემოწმებიდან გამოვლინდა, რომ „მილსადენის“ ზემოთ არსებული მიწის საფარის სიღრმე 80 სმ-ზე უფრო შემცირდა, „მიწის მესაკუთრემ“ არ უნდა გათხაროს ან მოხნას ნიადაგი „მილსადენის დაცვის ზონაში“ „კორპორაციის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

სსიპ...
№067

დანიშნულების მუდმივი ან დროებითი შენობა-ნაგებობები, მხოლოდ "კორპორაციის" წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

6.5. „მიწის მესაკუთრე“ ვალდებულია, აცნობოს „მიწის ნაკვეთის“ ყველა მოსარგებლეს წინამდებარე „შესჯულებების“ შესახებ და უზრუნველყოს მათ მიერ შემოადინებული „შესჯულებების“ შესრულება.

6.6. წინამდებარე ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, „მიწის მესაკუთრე“ ვალდებულია, დაუყონებლივ შეატყობინოს „კორპორაციას“ „შესჯულებების“ ნებისმიერი დარღვევის შესახებ მაშინვე, როგორც კი „მიწის მესაკუთრე“ შეიტყობს ასეთი დარღვევის შესახებ.

6.7. „მიწის მესაკუთრე“ სრულად აგებს პასუხს „კორპორაციის“ წინაშე ნებისმიერი პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანისთვის რაც გამოიწიება ან/და დაკავშირებულია „მიწის მესაკუთრის“ ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შესჯულებების“ დარღვევასთან.

6.8. იმ შემთხვევაში, თუ „მიწის ნაკვეთით“ ან მისი ნაწილით, მათ შორის „მიღსადენის დაცვის ზონაში“ მოყოლილი მიწით, სარგებლობა დაექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შესჯულებებსაც, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შესჯულებების“ გარდა და დამატებით, „წინამდებარე ხელშეკრულების“ არცერთი დებულება არ ათავისუფლებს „მიწის მესაკუთრეს“ ამგვარი სხვა ან დამატებითი შესჯულებებისაგან.

7. კომპენსაცია

7.1. „კორპორაცია“ „მიწის მესაკუთრეს“ გადაუხდის ერთჯერად კომპენსაციას სერვიტუტით დატვირთულ მიწაზე „მშენებლობის პერიოდში“ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეფერხებისა და მიწის მოცდენისათვის, „მიწის ნაკვეთის აღწერისა და ურთიერთგანსრახულობის აქტი“-ში (დანართი №2) დაფიქსირებული ნარგავების, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და/ან უძრავი ქონებისათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ლეიან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ (შემდგომში „ბიურო“) მიერ ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე დადგენილი საბაზრო ღირებულებების შესაბამისად.

7.2. „მხარეები“ ითვალისწინებენ „ბიუროს“ მაღალ კვალიფიკაციას, მიუკერძოებლობას და პროფესიონალიზმს, უპირობოდ უცხადებენ ნდობას „ბიუროს“ და მის მიერ მომზადებულ დასკვნას, შეფასებასა და შეფასების შეთოდებს და თანხმდებიან, რომ გადასახდელი კომპენსაცია გაანგარიშებული იქნას „ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და შეფასების საფუძველზე.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტის შესაბამისად „კორპორაცია“ გადაუხდის „მიწის მესაკუთრეს“ ერთჯერად კომპენსაციას 126 მლნ ლარის ოდენობით.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, „კორპორაცია“ ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ „მიღსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში“ განხორციელებული „მიღსადენის ჩვეულებრივი ოპერაციების“, „მიღსადენის საგანგებო ოპერაციების“, „მიღსადენის სარემონტო სამუშაოების“ შესრულების შედეგად ნებისმიერი ფაქტიურად მოუხებელი ზიანი, შეიძლება დაგაგრად უმოკლეს ვადებში, ანაზღაურებული იქნება ყულადი კომპენსაციის სახით, ზიანის მიუხედავად მიმენტისათვის არსებული საბაზრო ფასების მიხედვით, რაც „ბიუროს“ დასკვნით განისაზღვრება. შემოადინებული კომპენსაცია გადასდილი იქნება „მიწის მესაკუთრის“ და/ან ზიანის მიუხედავად მიმენტისათვის „საჯარო რეესტრში“ რეგისტრირებული მიწის მოსარგებლის (მოიჯარის) სასარგებლოდ.

7.5. „მიწის მესაკუთრეს“ უფლება არ აქვს მოითხოვოს „კორპორაციისაგან“ ან მისი „მშენებელი კონტრაქტორისაგან“ რაიმე თანხა, კომპენსაცია ან/და ანაზღაურება გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული კომპენსაციისა.

7.6. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

7.7. ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (სახოტარო ხარჯები, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები) გაიღებს „კორპორაცია“.

8. მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერისა და „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან და ძალაშია „მშენებლობის პერიოდისა“ და „ექსპლუატაციის პერიოდის“ განმავლობაში.

8.2. „მიწის მესაკუთრეს“ არ აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

8.3. „კორპორაციას“ უფლება აქვს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რის შესახებაც იგი შეატყობინებს „მიწის მესაკუთრეს“. „მიწის მესაკუთრე“ აცხადებს მის უპირობო და შეუქცევად თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ასეთ შეწყვეტაზე და „მხარეები“ დროულად მიიღებენ ყველა ზომას, რაც საჭიროა ასეთი შეწყვეტის სათანადო რეგისტრაციისათვის „საჯარო რეესტრში“.

9. ხელშეკრულების გადაცემა

9.1. „კორპორაციას“ უფლება აქვს, ნებისმიერ პირს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს (ნებისმიერი სახის მოთხოვნის

მსბრმ
აპაპანტ

2006

9. ხელშეკრულების გადაცემა

9.1 "კორპორაციას" უფლება აქვს, ნებისმიერ პირს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს (ნებისმიერი სახის მოთხოვნის უზრუნველყოფით დატვირთვის სათვლით) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი უფლებები და ვალდებულებები და წინამდებარე სერვიტუტის უფლების შესაბამისი ნაწილი. "მიწის მესაკუთრე" აცხადებს უპირობო და შეუქცევად თანხმობას ნებისმიერ ასეთ გარიგებაზე და კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს ყველა მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა დოკუმენტს, რაც საჭირო იქნება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების "კორპორაციის" მიერ მითითებული პირისთვის მიწიჭებისთვის ან/და გადაცემისთვის.

10. მარგვლირებული სამართალი და დავების მოგვარება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. "შხარეები" შევცდებიან ნებისმიერი დავის მოლაპარაკების გზით მოგვარებას, თუ მხარეები ვერ მიიღწევენ შეთანხმებას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის მქონე სასამართლოს.

10.3. დავის არსებობა გავლენას არ იქონებს და არ ათავისუფლებს "შხარებს" ვალდებულებებისაგან, მკაცრად დაიცვან "შეზღუდვები", ისევე როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი და ყველა სხვა პირობა.

11. სხვადასხვა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი დებულება არ შეიძლება იქნეს უარყოფილი, გაუქმებული ან შეცვლილი ორივე "შხარის" მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების რაიმე დროს იურიდიული ძალის არმქონედ ან ბათილად გამოცხადება გავლენას არ იქონებს მისი დანარჩენი დებულებებისა და მთლიანად ხელშეკრულების იურიდიულ ძალასა და "შხარეთა" ვალდებულებებზე.

11.3. ყველა დანართი, დამატება და სათანადო წესით შესრულებული ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.4. "შხარეები" უპირობოდ თანხმდებიან, რომ "სამშენებლო პერიოდის" დასრულების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი დანართ №1-ში, რათა უაქტურად არსებული მდგომარეობის შესაბამისობით დაფიქსირებული იქნეს "მიღსადენისა" და "მიღსადენი საშუალებების" ზუსტი მდებარეობა, "მიწის ნაკვეთის", "მიღსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფნის", "სერვიტუტის მიწისა" და "მიღსადენის დაცვის ზონის" საზღვრები.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და არც შემდგომ, "მიწის მესაკუთრეს" არ ექნება რაიმე უფლება ან ინტერესი "მიღსადენ საშუალებებზე", ისევე როგორც "სერვიტუტის მიწაზე" ან მის ქვეშ "კორპორაციის" ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირების მიერ განთავსებული რაიმე სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების მიმართ.

11.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა "მიწის მესაკუთრეს", ერთი წარედგინება "საჯარო რეგისტრს", სერვიტუტის უფლების რეგისტრაციის მიზნით, ორი გადაეცემა "კორპორაციას".

12. მხარეთა რეკვიზიტები

<p>მისამართი</p>	<p>მიწის მესაკუთრე</p>
	<p>მისამართი:</p>
	<p>საბანკო რეკვიზიტები:</p>

დანართი №1.
 მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი - "მიწის ნაკვეთის", "მიღსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფნის", საზღვრების, "მიღსადენის" და "მიღსადენი საშუალებების" მითითებით.
 დანართი №2.
 სერვიტუტის მიწის აღწერისა და ურთიერთშეთანხმების აქტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
 საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
 პატივი №067
 თბილისი - 11-01-00100, მ.გ. 0
 დაარსდა... 2000...

10/10